

შპს „მეტეხის კერამიკა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	6
1. კორპორატიული ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
5. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	10
6. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	11
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11
8. ძირითადი საშუალებები	12
9. მარაგები.....	14
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
11. ფული და ფულის ექვივალენტები	14
12. სავაჭრო ვალდებულებები, მიღებული ავანსები და გადასახდელი ხელფასები.....	14

შპს „მეტეხის კერამიკა“

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული


შპს „მეტეხის კერამიკა“

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2018 (არააუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	2,811,949	2,872,618
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	6	(1,384,837)	(1,479,703)
საერთო მოგება		1,427,112	1,392,915
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები		(148,249)	(172,459)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,374,655)	(1,356,445)
საოპერაციო ზარალი		(95,792)	(135,989)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		8,509	8402
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(29)	(828)
საპროცენტო შემოსავალი		1,309	801
საპროცენტო ხარჯი		(155,438)	(127,965)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(1,841)	(19,563)
მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე		243,282	275,142
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		243,282	275,142

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 28 სექტემბერს:


 კახაბერ კახიაშვილი
 დირექტორი




 ლეილა აბუშვილი
 ფინანსური დირექტორი

შპს „მეტეხის კერამიკა“

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2018 (არააუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	2,811,949	2,872,618
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	6	(1,384,837)	(1,479,703)
საერთო მოგება		1,427,112	1,392,915
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები		(148,249)	(172,459)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,374,655)	(1,356,445)
საოპერაციო ზარალი		(95,792)	(135,989)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		8,509	8402
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(29)	(828)
საპროცენტო შემოსავალი		1,309	801
საპროცენტო ხაჯი		(155,438)	(127,965)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(1,841)	(19,563)
მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე		243,282	275,142
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		243,282	275,142

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 28 სექტემბერს:

კახაბერ კახნიაშვილი
დირექტორი

ლეილა აბუაშვილი
ფინანსური დირექტორი

შპს „მეტეხის კერამიკა“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2018 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		7,540,169	7,862,470
არამატერიალური აქტივები	8	19,947	22,164
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		1,094,520	1,094,520
გაცემული სესხები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,654,636	8,979,154
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	9	975,804	923,018
მისაღები პროცენტები		-	-
საგადასახადო აქტივი		-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	12,068	71,208
ფული და ფულის ექვივალენტები	11	74,272	13,039
სულ მიმდინარე აქტივები		1,062,144	1,007,264
სულ აქტივები		9,716,780	9,986,418
საკუთარი კაპიტალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
საწესდებო კაპიტალი		3,601,102	3,656,102
გაუნაწილებელი მოგება		4,112,202	4,363,032
სულ კაპიტალი		7,729,304	8,019,134
გრძელვადიანი სესხები		1,249,437	1,299,958
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,249,437	1,299,958
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები	12	116,773	482,066
მოკლევადიანი სესხები		495,880	95,974
საგადასახადო ვალდებულებები		78,345	21,255
გადასახდელი იჯარა	14	22,156	56,788
გადასახდელი პროცენტები		24,885	11,243
სულ მიმდინარე ვალდებულებები		738,038	667,326
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		9,716,780	9,986,418

5-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „მეტეხის კერამიკა“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	გამოსყიდული საკუთარი აქციები	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
ბალანსი 1 იანვარი 2018	-	3,549,424	4,640,581	8,190,005
პერიოდის სრული მოგება-ზარალი	-	-	(275,142)	(275,142)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	(2,407)	(2,407)
კაპიტალის შემცირება / გაზრდა	-	106,678	-	106,678
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	-	3,656,102	4,363,032	8,019,134
პერიოდის სრული მოგება-ზარალი	-	-	(243,282)	(243,282)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	(7,547)	(7,547)
კაპიტალის შემცირება / გაზრდა	-	(39,000)	-	(39,000)
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	-	3,617,102	4,112,202	7,729,304

შპს „მეტეხის კერამიკა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს "მეტეხი კერამიკის" (შემდგომში "კომპანია") და მისი შვილობილი კომპანიების – შპს „ახალი მეტეხის“ და შპს „მეტეხი ვაინის“ – ფინანსურ ინფორმაციას. შპს "მეტეხი კერამიკა" არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. შპს "მეტეხი კერამიკა" ფლობს 100%-იან წილს საქართველოში რეგისტრირებულ შპს „ახალი მეტეხში“ და აგრეთვე 100%-იან წილს შპს "მეტეხი ვაინში".

შვილობილი კომპანიები

2017 წლის შვილობილი	31/12	წილი %	დაარსების თარიღი	საქმიანობის სფერო
შპს მეტეხი ვაინი		100	30.04.2008	მეღვინეობა
შპს ახალი მეტეხი-აი ჯი		100	29.08.2005	კომერცია

2018 წლის შვილობილი	31/12	წილი %	დაარსების თარიღი	საქმიანობის სფერო
შპს მეტეხი ვაინი		100	30.04.2008	მეღვინეობა
შპს ახალი მეტეხი-აი ჯი		100	29.08.2005	კომერცია

2019 წლის შვილობილი	31/12	წილი %	დაარსების თარიღი	საქმიანობის სფერო
შპს მეტეხი ვაინი		100	30.04.2008	მეღვინეობა
შპს ახალი მეტეხი-აი ჯი		100	29.08.2005	კომერცია

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) გათვალისწინებით.

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობამ გამოიყენა მოსალოდნელი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, ფაქტები და გარემოებები და საბუღალტრო პოლიტიკა.

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დამკვეთები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შპს „ჯორჯიან პლასტიკ პაიპსის“ მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი დანახარჯები. შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ნაგებობები	15-20
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე ინვენტარი	3-10
მანქანა-დანადგარები	10-20

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია სავაჭრო ვალები. სავაჭრო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი,

რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ

იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიწულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი რეალიზაციიდან

შპს „მეტეხის კერამიკა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
შემოსავალი აგურის რეალიზაციიდან	2,750,371	2,788,134
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	6,186	8,029
სხვა შემოსავალი	55,392	76,455
ჯამი	2,811,949	2,872,618

6. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
რეალიზებული აგურის თვითღირებულება	(1,323,474)	(1,341,302)
რეალიზებული ძირითადი საშუალების თვითღირებულება	(10,996)	(52,164)
სხვა ხარჯი	(50,367)	(86,237)
ჯამი	(1,384,837)	(1,479,703)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
შრომის ანაზღაურება	(339,560)	(283,674)
ცვეთა და ამორტიზაცია	(605,755)	(589,902)
საიჯარო ქირა	(9,413)	(17,819)
რემონტის ხარჯი	(143,544)	(238,606)
იურიდიული და ადმინისტრაციული ხარჯი	(16)	(34)
საყოფაცხოვრებო ხარჯი	(22,738)	(15,024)
ბანკის საკომისიო	(9,564)	(12,161)
სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული ხარჯი	(64,147)	(76,661)
მივლინების ხარჯი	(45)	(45)
საქველმოქმედო ხარჯი	(43,400)	(13,270)
კომუნიკაციის ხარჯი	(4,151)	(2,270)
საკანცელარიო ხარჯი	(1,301)	(985)
საგადასახადო ხარჯი	(95,163)	(83,394)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(35,858)	(22,600)
ჯამი	(1,374,655)	(1,356,445)

შპს „მეტეხის კერამიკა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. ძირითადი საშუალებები

	გაკულტურებული ნარგავები	მიწის ნაკვეთი	შენობები	ნაგებობები	მანქანა - დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	ჯამი
თვითღირებულება										
1 იანვარი 2018	27,474	121,292	3,629,447	1,251,968	2,706,929	12,368	81,823	449,862	24,380	8,305,543
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	-	-	296,872	1,575	131	-	-	298,579
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-	-	(50,294)	(250)	(13)	(75,635)	-	(126,192)
31 დეკემბერი 2018	27,474	121,292	3,629,447	1,251,968	2,953,507	13,693	81,942	374,227	24,380	8,477,930
ცვეთა										
1 იანვარი 2018	-	-	-	-	-	-	(3,394)	-	-	(3,394)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	-	(111,365)	(69,754)	(351,016)	(2,199)	(11,737)	(41,617)	(2,216)	(589,903)
31 დეკემბერი 2018	-	-	(111,365)	(69,754)	(351,016)	(2,199)	(15,131)	(41,617)	(2,216)	(593,297)
ნეტო საბალანსო ღირებულება										
1 იანვარი 2018	27,474	121,292	3,629,447	1,251,968	2,706,929	12,368	78,429	449,862	24,380	8,302,149
31 დეკემბერი 2018	27,474	121,292	3,518,082	1,182,214	2,602,491	11,495	66,811	332,610	22,164	7,884,634

შპს „მეტეხის კერამიკა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. ძირითადი საშუალებები

	გაკულტურებული ნარგავები	მიწის ნაკვეთი	შენობები	ნაგებობები	მანქანა - დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	ჯამი
თვითღირებულება										
გადაფასებული 31 დეკემბერი 2018	27,474	121,292	3,629,447	1,251,968	2,953,507	13,693	81,942	374,227	24,380	8,477,930
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	-	-	283,025	324	9,449	-	-	292,797
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-	-	(1,845)	-	(4,100)	(13,029)	-	(18,974)
31 დეკემბერი 2019	27,474	121,292	3,629,447	1,251,968	3,234,687	14,017	87,291	361,198	24,380	8,751,754
ცვეთა										
31 დეკემბერი 2018	-	-	(111,365)	(69,754)	(351,016)	(2,199)	(15,131)	(41,617)	(2,216)	(593,297)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	-	(111,365)	(69,754)	(366,362)	(2,280)	(8,343)	(38,023)	(2,216)	(598,342)
31 დეკემბერი 2019	-	-	(222,729)	(139,507)	(717,377)	(4,479)	(23,473)	(79,639)	(4,433)	(1,191,638)
ნეტო საბალანსო ღირებულება										
გადაფასებული 31 დეკემბერი 2018	27,474	121,292	3,518,082	1,182,214	2,602,491	11,495	66,811	332,610	22,164	7,884,634
31 დეკემბერი 2019	27,474	121,292	3,406,718	1,112,461	2,517,310	9,538	63,817	281,559	19,947	7,560,116

შპს „მეტეხის კერამიკა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. მარაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნედლეული და მასალები	308,396	276,496
მზა პროდუქცია	662,081	641,473
საქონელი	5,327	5,049
ჯამი	975,804	923,018

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	4,929	19,554
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	895	235
გადახდილი ავანსები	6,244	51,419
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,068	71,208

11. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული ბანკში	59,282	8,349
ფული სალაროში	14,990	4,690
ჯამი	74,272	13,039

12. სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო ვალდებულებები	10,709	252,771
მიღებული ავანსები	54,519	196,154
გადასახდელი ხელფასები	51,545	33,142
ჯამი	116,773	482,066